გორის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს

განკარგულება №95

2023 წლის 9 ივნისი

ქ. გორი

გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „სვგ მერკურის“ შორის არსებული სასყიდლიანი აღნაგობის ხელშეკრულების პირობის შეცვლაზე გორის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

2019 წლის 11 მარტს, გორის მუნიციპალიტეტსა და ზურაბ ხვადაგაძეს (პ/ნ 59001118720) შორის გაფორმდა აღნაგობის ხელშეკრულება 30 წლის ვადით. ხელშკრულების საგანს წარმოადგენდა ქ. გორში, ცხინვალის გზატკეცილის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთი ს/კ 66.46.26.144, ფართობით 1606 კვ.მ.

2019 წლის 17 ივნისს გორის მუნიციპალიტეტს განცხადებით მომართა ზურაბ ხვადაგაძემ, რომელმაც ითხოვა მიეცეს უფლება, გაასხვისოს მისთვის გადაცემული აღნაგობის უფლება.

2019 წლის 17 ივნისს გორის მუნიციპალიტეტის მერიას განცხადებით მომართა შპს „სვგ მერკურის“ (ს/ნ 417887790) დირექტორმა ზვიად ოგიენკომ (პ//ნ 59001068444), რომელმაც გამოთქვა სურვილი გადაეცეს ზურაბ ხვადაგაძის აღნაგობის უფლება, ხელშეკრულებით ნაკისრი უფლებებით და ვალდებულებებით.

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 12 ივლისის N137 განკარგულებით მიეცა თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს იმის თაობაზე, რომ ზურაბ ხვადაგაძისთვის (პ/ნ 59001118720) მიეცა თანხმობა 2019 წლის 11 მარტს აღნაგობის ხელშეკრულებით მისთვის გადაცემული აღნაგობის უფლება, რომლის საგანს წარმოადგენს გორში, ცხინვალის გზატკეცილის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთი ს/კ 66.46.26.144 (ახალი ს/კ 66.46.26.003.042) ფართობით 1606 კვ.მ. გაესხვისებინა შპს „სვგ მერკურიზე“ (ს/ნ 417887790), აღნაგობის ხელშეკრულებებით გათვალისწინებული პირობებით. აღნიშნულის საფუძველზე გორის მუნიციპალიტეტის მერიამ თანხმობა მისცა ზურაბ ხვადაგაძეს აღნაგობის უფლების გასხვისებაზე და შპს „სვგ მერკურის“-თვის გადაცემაზე, შესაბამისად, აღნაგობის უფლება გადაეცა შპს „სვგ მერკურის“.

მითითებული აღნაგობის ხელშეკრულების მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით, აღნაგობის უფლების მქონე ვალდებული იყო კომერციული დანიშნულების ობიექტი აეშენებინა და ფუნქციონირება დაეწყებინებინა ხელშეკრულების გაფორმებიდან 24 (ოცდაოთხი) თვის განმავლობაში - 2021 წლის 11 მარტის ჩათვლით.

გორის მუნიციპალიტეტის მერიაში შესული იყო შპს „სვგ მერკურის“ (ს/ნ 417887790) 2021 წლის 26 იანვრის განცხადება, რომელშიც იგი აღნიშნავდა, რომ 2020 წლის მარტიდან არსებული

პანდემიის გამო დაწესებული შეზღუდვებიდან გამომდინარე, ხელი შეეშალათ სამშენებლო მასალების შესყიდვასა და ადგილზე მიტანაში, ასევე, მომუშავე პერსონალის მოძიებასა და მათ ტრანსპორტირებაში, რამაც ხელი შეუშალა სამუშაოების დასრულებაში და შესაბამისად - პირობის შესრულებაში. აღნიშნულიდან გამომდინარე, შპს „სვგ მერკურის" ითხოვდა მითითებული პირობის ვადის გაგრძელებას ერთი წლით, რაც, პანდემიიდან გამომდინარე არსებული შეზღუდვების გათვალისწინებით, გორის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნდა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 12 თებერვლის №25 განკარგულებით მიეცა თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „სვგ მერკურის" (ს/ნ 417887790) შორის არსებული სასყიდლიანი აღნაგობის ხელშეკრულების პირობის შეცვლაზე - აღნაგობის უფლებით გადაცემულ მიწის ნაკვეთზე (მის: ქ. გორი, ცხინვალის გზატკეცილის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთი; ს/კ 66.46.26.144 (ახალი ს/კ 66.46.26.003.042), ფართობით 1606 კვ.მ.) კომერციული დანიშნულების ობიექტის აშენების და ფუნქციონირების დაწყების ვადად ხელშეკრულების გაფორმებიდან 24 (ოცდაოთხი) თვის ნაცვლად ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 (სამი) წლის ვადის განსაზღვრის თაობაზე. აღნიშნულის საფუძველზე შევიდა სათანადო ცვლილება მითითებულ აღნაგობის ხელშეკრულებაში.

გორის მუნიციპალიტეტის მერიაში შესული იყო შპს „სვგ მერკურის" (ს/ნ 417887790) 2022 წლის 28 თებერვლის განცხადება, რომელშიც იგი აღნიშნავდა, რომ მან მიმართა გორის მუნიციპალიტეტის მერიას არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტის შეთანხმების მოთხოვნით, რაზეც გორის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ეთქვა უარი იმის საფუძველზე, რომ პროექტის შესრულება არ ესწრებოდა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში. აღნიშნულიდან გამომდინარე, შპს „სვგ მერკური" ითხოვდა სასყიდლიანი აღნაგობის ხელშერკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების ვადის გაგრძელებას 1 წლის ვადით, რაც, გორის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნდა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 8 აპრილის №64 განკარგულებით მიეცა თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „სვგ მერკურის" (ს/ნ 417887790) შორის არსებული სასყიდლიანი აღნაგობის ხელშეკრულების პირობის შეცვლაზე - აღნაგობის უფლებით გადაცემულ მიწის ნაკვეთზე (მის: ქ. გორი, ცხინვალის გზატკეცილის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთი; ს/კ 66.46.26.144 (ახალი ს/კ 66.46.26.003.042), ფართობით 1606 კვ.მ.) კომერციული დანიშნულების ობიექტის აშენების და ფუნქციონირების დაწყების ვადად ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 (სამი) წლის ნაცვლად ხელშეკრულების გაფორმებიდან 4 (ოთხი) წლის ვადის განსაზღვრის თაობაზე.

გორის მუნიციპალიტეტის მერიაში შესულია შპს „სვგ მერკურის" (ს/ნ 417887790) 2023 წლის 10 მაისის განცხადება, რომელშიც იგი აღნიშნავს, რომ შპს ,,სვგ მერკურსა'' და გორის მუნიციპალიტეტის მერიას შორის 2019 წლის 11 მარტს გაფორმებული სასყიდლიანი აღნაგობის ხელშეკრულებით (რომლის საგანს წარმოადგენს ს/კ 66.46.26.003.042 უძრავი ქონება) გათვალისწინებული გარკვეული ვალდებულება იქნა შესრულებული, კერძოდ: 1) ხელშეკრულების თანახმად აშენდა კომერციული დანიშნულების ობიექტი; 2) დასრულდა მშენებლობის მეოთხე ეტაპი; 3) განხორციელდა დაახლოებით 80 ათასი ლარის ინვესტიცია; 4) აღნაგობის უფლების მქონეს, აღნაგობის ქირის სახით გადასახდელი თანხა არ ერიცხება, რომელიც თვეში განსაზღვრულია 300 (სამასი) ლარით. განცხადებაში ასევე აღნიშნულია, რომ აღნაგობის უფლების მქონეს დარჩენილი აქვს მშენებლობის მე - 5 ეტაპი, რომელზეც სამუშაოები მიმდინარეობს უწყვეტ რეჟიმში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, შპს „სვგ მერკური“ ითხოვს სასყიდლიანი აღნაგობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების ვადის გაგრძელებას კიდევ 1 წლის ვადით. გორის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია შპს „სვგ მერკურისთან“ დადებული სასყიდლიანი აღნაგობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების ვადა გაგრძელდეს არა 1 წლით, არამედ 6 თვით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „სვგ მერკურის“ (ს/ნ 417887790) შორის არსებული სასყიდლიანი აღნაგობის ხელშეკრულების პირობის შეცვლაზე - აღნაგობის უფლებით გადაცემულ მიწის ნაკვეთზე (მის: ქ. გორი, ცხინვალის გზატკეცილის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთი; ს/კ 66.46.26.144 (ახალი ს/კ 66.46.26.003.042), ფართობით 1606 კვ.მ.) კომერციული დანიშნულების ობიექტის აშენების და ფუნქციონირების დაწყების ვადად ხელშეკრულების გაფორმებიდან 4 (ოთხი) წლის ნაცვლად ხელშეკრულების გაფორმებიდან 4 (ოთხი) წლის და 6 (ექვსი) თვის ვადის განსაზღვრის თაობაზე.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „სვგ მერკურის“ (ს/ნ 417887790) შორის არსებული სასყიდლიანი აღნაგობის ხელშეკრულების პირობის შეცვლაზე - აღნაგობის უფლებით გადაცემულ მიწის ნაკვეთზე (მის: ქ. გორი, ცხინვალის გზატკეცილის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთი; ს/კ 66.46.26.144 (ახალი ს/კ 66.46.26.003.042), ფართობით 1606 კვ.მ.) კომერციული დანიშნულების ობიექტის აშენების და ფუნქციონირების დაწყების ვადად ხელშეკრულების გაფორმებიდან 4 (ოთხი) წლის ნაცვლად ხელშეკრულების გაფორმებიდან 4 (ოთხი) წლის და 6 (ექვსი) თვის ვადის განსაზღვრის თაობაზე.
2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქალაქი გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე